დადგენილება:**დ-37. 3726195001**
თარიღი:**14/07/2026**

დადგენილება N11

2026 წლის 14 ივლისი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ.", „დ.დ." და „დ.ე" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და დამტკიცდეს მერიის საშტატო ნუსხა (დანართის შესაბამისად).

მუხლი 2

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16 იანვრის №1 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 20/01/2026, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.113.016546).

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 15 აგვისტოდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი